

Marine Turashvili

მარინე ტურაშვილი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

Georgia, Tbilisi

საქართველო, თბილისი

Cultural and Literary Links of Georgian Emigrants in Greece

(According to Oral Histories)

**საბერძნეთში მყოფი ქართველი ემიგრანტების კულტურულ-ლიტერატურული ხიდები
(ზეპირი ისტორიების მიხედვით)**

DOI: <https://doi.org/10.62119/cils.18.2025.10843>

Migration is one of the great challenges of the modern world, as it is based on many reasons. Since the 90s of the last century, our country has repeatedly become a participant in this great process. They had and still have a small Georgia there – a church, a cultural center, and the newspaper "Ellada". From December 2002 to the end of 2016, the newspaper of the Georgian diaspora in Greece, "Ellada," was published.

Obviously, for Georgian emigrants in Greece, the newspaper "Ellada" is precisely the cultural and literary bridge through which they had a continuous connection with their homeland and at least a little alleviated the difficulties of emigration.

Keywords: Migration, Greece, Newspaper, Oral History

საკვანძო სიტყვები: მიგრაცია, საბერძნეთი, გაზეთი, ზეპირი ისტორიები

მიგრაცია თანამდროვე სამყაროს ერთ-ერთი დიდი გამოწვევაა, რადგან მას მრავალი მიზეზი უდევს საფუძვლად: პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და პირადი. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ჩვენი ქვეყანაც არაერთხელ გამხდარი ამ დიდი პროცესის მონაწილე. ამჯერად კვლევა ეხება საქართველოდან საბერძნეთში შრომით მიგრაციას და ემიგრანტების სამშობლოსთან კულტურულ-ლიტერატურულ კავშირებს.

საქართველოდან საბერძნეთში მიგრაცია საბჭოთა კავშირის სივრცის დარღვევის შედეგია და გასული საუკუნის 90-იან წლებში იწყება. თავდაპირველად მიგრანტებს ბერძნული წარმოშობის საქართველოს მოქალაქეები წარმოადგენდნენ, რომლებიც სახლობდნენ წალკის რაიონში. 2000 წლისთვის კი მათი რიცხვი 80 000 აღწევდა, რაც გამოწვეული იყო შერეული ქორწინებებით, სწორედ ამან განაპირობა საბერძნეთში მიგრაციული დინების გაზრდა:

„პირველი მიზეზი საბერძნეთში რომ ჩამოდიხარ, არის ის, რო ახლობლები აქ გყავს. თავიდან კიდე იმიტო აირჩიეს საბერძნეთი, რომ პირველ ეტაპზე საბერძნეთი იღებდა ამ ადამიანებს და სხვა ევროპულ ქვეყნებთან შედარებით ადვილი იყო. პირველ წლებში, აი, პონტოელებს რო ვეძახდით, საქართველოდან წამოსულ ბერძნებს, ისინი რო ჩამოვიდნენ, იმათ ბევრი გამოყვა. უკონტროლო სიტუაციები იყო. ზოგმა გვარი გადაიკეთა მაშინ, ქორწინებები გააფორმეს, მაშინ ამას არ აქცევდნენ ყურადღებას. ბერძნული გვარი გქონდა – საბუთს იღებდი იმ წუთას“ (ზეპირი ისტორიები..., 2010, გვ. 13).

უმუშევრობა, სიდუხჭირე, ხვალინდელი დღის უიმედობა სწორედ ის მიზეზებია, რამაც გადარჩენის მიზნით ქართველების საბერძნეთში წასვლა განაპირობა:

„ოჯახიდან წამოვედი ოჯახის გულისთვის. სახეზე რომ მიყურებთ, ცოტა თავს ვიწყეს-რიგებ, ეგეც იმიტომ რომ მთლად არ მინდა, დავეცე. ჩემი ბუნებაა ასეთი. აბა, დაინახეთ ეხლა ჩემი ხელები! აქეთ კიდე ეს ხელი მაქვს დამწვარი, მაგრამ რა ვქნა, ისევ შვილებისთვის. მკვდარ მეუღლესაც იმდენი ჭირდება, რამდენიც ალბათ, ცოცხალ მეუღლეს არ დაჭირდება: იქ გასვენება, იქ სასაფლაო, იქ საკრთხიო, იქ ორმოციო, იქ დაბადების დღეო, ესე იგი, ჩემი ყველა კაპივი, აღებული არ მაქვს ხელფასი, რომ დახარჯული მაქვს წინასწარ“ (ზეპირი ისტორიები..., 2010, გვ. 16-17).

მოგვიანებით, 2009-2010 წლებში საგრძნობლად გაიზარდა საქართველოდან წასულ მიგრანტთა რიცხვი, რის მიზეზადაც საქართველო-რუსეთის კონფლიქტი და ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება სახელდება. სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად, საქართველოდან საბერძნეთში წასულია 100 000-ზე მეტი მოქალაქე, თუმცა არაზუსტი მონაცემები ხელს უშლის მიგრაციული ტენდენციების განვითარების პროგნოზირებას. მიგრანტთა ზუსტი რიცხვის დადგენას ის გარემოებაც უშლის ხელს, რომ საქართველოს მოქალაქეები საკონსულოს მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში მიმართავენ.

საბერძნეთში შრომითი მიგრაციის მთავარ მიზეზად მიგრანტთა ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესებისკენ სწრაფვა სახელდება. საბერძნეთის, როგორც მიმღები ქვეყნის, მიზიდველობა განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით: შრომით ბაზარზე მუშახელის მოთხოვნილებით; სხვა ევროპული ქვეყნებისგან განსხვავებით გადაადგილების შედარებით დაბალი ფასებით; განვითარებული სატრანსპორტო სტრუქტურით და საქართველოსა და საბერძნეთის გეოგრაფიული სიახლოვით; ერთიანი რელიგიური მრწამსით (მართლმადიდებლობით); კულტურული სიახლოვით; განვითარებული სოციალური ქსელით და ა. შ.

საბერძნეთში მყოფი ქართველი მიგრანტებისთვის დამახასიათებელია სოციალური კონტაქტები თანამემამულეებთან. მათი უმეტესობა ოჯახთან ან ახლო ნათესავებთან ერთად იმყოფება. ამგვარი სოციალური კავშირები მიგრანტებს ეხმარება როგორც ფსიქოლოგიურად, ასევე – ეკონომიკურად.

მიგრანტები ერთმანეთს უმეტესად კვირა დღეს ხვდებიან იმ ადგილებში, სადაც ქართველები იყრიან ხოლმე თავს. ასეთი ადგილები უმეტესად ის სატრანსპორტო ფირმებია, რომლებიც საქართველოსა და საბერძნეთს შორის ტვირთების გადაზიდვით არიან დაკავებული: „საბერძნეთში არი ერთი ადგილი, ქვია „ომონია“. ჰოო, აი, იმ ადგილზე რო გაიარო, ფუტკრის სკა როა და ზუზუნებს, აი, ბევრი ფუტკარი ერთად, აი ესეა, ირევა. ქართველია იქ, აუცილებლად ქართველია. სხვა ძალიან იშვიათია ომონიაზე“ (ზეპირი ისტორიები..., 2010, გვ. 79). აქედანვე გზავნიან ამანათებს, ფულს, იღებენ გაზეთებს და იგებენ ახალ ამბებს. სატრანსპორტო ფირმების მომსახურება მიგრანტებს საშუალებას აძლევს არ დაკარგონ საქართველოსთან სოციალური კავშირი. სწორედ ამიტომ ითვლება სატრანსპორტო ფირმები მიგრანტების თავშეყრის მთავარ ადგილად.

შეხვედრის ადგილებია ასევე ამ ფირმების სიახლოვეს მდებარე კაფეები და რესტორნები. ყოველდღიური მძიმე სამუშაო დიდ ფსიქოლოგიურ დატვირთვა-განტვირთვას მოითხოვს. ზოგიერთი ემიგრანტს შაბათ-კვირას შეგნებულად არ აქვს ურთიერთობა ადგილობრივ მოსახლეობასთან, რადგან ურჩევიათ ქართველებს შეხვდნენ, რათა მშობლიურ ენაზე ილაპარაკონ და ერთმანეთს გასაჭირი გაუზიარონ.

ძირითადად მიგრანტთა უმრავლესობას შუახნის ქალები არიან, რომელთა თავდაუზოგავი შრომა საქართველოში სიღარიბის დაძლევაზე დადებით ზეგავლენას ახდენს:

„ამბობენ, ბერძნებზე მეტნი ვართ უკვე იქ. არის უბნები საბერძნეთში, სადაც ბერძენი არ არსებობს, მარტო ქართველია. რად უნდა ბევრი ფიქრი, რატომ ხდება ეს. როცა სახლში წყალი ჩამოგდის, ჩემზე არ ვიძახი, მაგრამ საერთოდ, როცა შენს შვილს წამალი უნდა და

ამის საშუალება არ გაქვს, არ ელოდები შენს სახელმწიფოს, როდის მოვა და მოგიგდებს ათ ლარს და მიდიხარ. იქ ჩემზე პატარა არავინ მინახავს, ძირითადად, ორმოც წლამდე არიან. მინახავს 72 წლის ქალიც. ძირითადად, უმადლესი განათლებით არიან“ (ზეპირი ისტორიები..., 2010, გვ. 91).

თითოეულ ემიგრანტს საოცარი ნოსტალგია აწუხებს სამშობლოს, ქალქის, სოფლის, ახლობლების და ოჯახის მიმართ. თუმცა, მძიმე სამუშაო და საარსებო პურის შოვნის ყოველდღიური საზრუნავი მათ ამ გრძნობის დაძლევას აიძულებს.

საბერძნეთში მყოფი ქართველები მიუხედავად იმისა, რომ საშუალება აქვთ გაეცნონ ქართულ მასმედიას, ნაკლებად ინფორმირებულნი არიან:

„აქ „ასავალ-დასავალს“ და „კვირის პალიტრას“ აქვს დიდი გასავალი და ყველაზე მეტად ეგ გაზეთები იყიდება და ჟურნალები ჩამოდის – „რეიტინგი“, „სარკე“ – ეგ ჟურნალებიც კარგად იყიდება... მაგალითად, რელიგიური ჟურნალების რედაქტორები მირეკავენ, მიგზავნიან, რო საჩუქრებად დავურიგო აქ ქართველებს. იმ დღეს სამოცი ევრო გადავიხადე და ომონიაზე დავარიგე ის ჟურნალები. გამომიგზავნა კახაბერ ცინცაძემ – კანდელის რედაქტორმა და დავურიგე. უნდა იფიქროს მთავრობამ, რო მოდი, გავუგზავნოთ, იქაც გაიგონო! არ არიან დაინტერესებულები“ (ყურშავიშვილი, 2009).

ქართული სათვისტომო საბერძნეთში მრავალრიცხოვანია. მათ იქ პატარა საქართველო ჰქონდათ და აქვთ – ეკლესია, კულტურის ცენტრი და გაზეთი „ელადა“, რომელიც 2002 წლის დეკემბრიდან 2016 წლის ბოლომდე გამოდიოდა. მის ეპიგრაფად გამოყენებულია ჯანსუღ ჩარკვიანის ლექს „ირინოლას“ სამი ტაეპი: „საქართველოვ, / შენ ვინ მოგცა, / შვილი დასაკარგავი...“ მისი დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი იყო ემიგრანტი ქართველი ანა ყურშავიშვილი. ძალზე მნიშვნელოვანი და დასაფასებელია უცხო ქვეყანაში გაზეთის შექმნა მშობლიურ ენაზე. ქალბატონმა ანამ საბერძნეთში მოღვაწეობისას შექმნა ქართული ემიგრანტული ლიტერატურის ახალი ეპოქა, ახალი საფეხური. ოდითგანვე იქმნებოდა საქართველოდან შორს ქართული პოეზიისა და ლიტერატურის შესანიშნავი ნიმუშები. დღევანდელი ქართველი ემიგრანტების ღვაწლი კი ისტორიას გაზეთის ფურცლებიდან შემორჩება.

ქართულ-ბერძნულ პუბლიცისტიკურ სარბიელზე მრავალრუბრიკიანი გაზეთის – „ელადა“ რედაქტორი მტკივნეულად იხსენებს თითოეული ნომრის შექმნის ისტორიას. თავის 2009 წელს ჩაწერილ ზეპირ ისტორიაში ღიად საუბრობს იმ რთულ გზაზე, რაც ემიგრაციაში მის საბოლოო სახით ჩამოყალიბებამდე გაიარა:

„ამ გაზეთის გამოშვებას როგორ ვახერხებ? – ძალიან ძნელად. ხელით ვწერ, მერე ვაგზავნი საქართველოში... აქ ვაკეთებდი, მაგრამ ძალიან ძვირი იყო. მერე საქართველოში ვგზავნი დამაკეტებულ ჩემს ხელნაწერს და იქ უშვებენ. ჩემ გარდა სხვა ავტორებიც არიან. მიგზავნიან წერილებს და სულ ხელით ვაკეთებ ყველაფერს“ (ყურშავიშვილი, 2009).

აღნიშნულ გაზეთზე თავის ზეპირ ისტორიაში საუბრობს ემიგრანტი რუსუდან ხურცილავაც: „გაზეთი არის „ელადა“, ასეთი სახელწოდებით, რომელიც ქალბატონმა ანა ყურშავიშვილმა დააარსა (ხურცილავა, 2009). მასში გამოქვეყნებული სტატიების ავტორები უმეტესწილად ქალები არიან. თოთოეული მათგანისთვის გაზეთის ოცდაოთხი გვერდი არა მარტო საკუთარი განცდების წარმოჩენის საუკეთესო საშუალებაა:

„ყველა ემიგრანტი, ქალი თუ კაცია თავის გულისტკივილს წერს ამ გაზეთში და ვაწვდით ქალბატონ ანას და გვიქვეყნებს გაზეთში: ზოგი – ლექსით, ზოგი – წერილით, ზოგი – ესე და ზოგი – ისე; და ე. ი. მასაზრდოვებელია ეს გაზეთი ემიგრანტებისთვის, წარმოიდგინეთ თქვენ...“ (ხურცილავა, 2010).

„აი ჩვენი გაზეთი რომ წაიკითხო, გვაქვს რუბრიკა „აქაც ომია, მხოლოდ ქართველები ვიხსოვებით“... გაზეთის ყველა მეორე ნომერში წერია, რომ ტრაგიკულად გარდაიცვალა. თითქმის ყველა ნომერში არი, რომ ან ვიღაცა მოკლეს, ან თავი მოიკლა, ან გადავარდა, ან დაიკარგა“ (ზეპირი ისტორიები, 2010, გვ. 32).

ის ზოგიერთი მათგანისთვის ის ერთგვარი იმედიც კი გამხდარა:

„მე ათენთან მოცილებული ვარ და ყოველთვის ამ გაზეთს ვერ ვყიდულობ, ვერ ჩავდივარ ფიზიკურად, მაგრამ მე ისე მყავს ჩემები შესახებელი, რომ ყველა ნომერი მინდა მქონდეს. ჩაწყობილი მაქვს ყველა „პაპკაში“ და შენახული. იცი რა?! რაღაც იმ „პაპკაში“ იმედს ვნახულობ, რომ ჩვენი გაზეთი დევს იქ. ჩვენ უქურნალ-გაზეთოდ არ შეგვიძლია. რომ წაიკითხავენ ათენელები, ყველას ვთხოვ, რომ ის მართალია ძველია, წინა ნომერია, მაგრამ ჩემთვის მაინც ახალია:

– არ გადამიყაროთ და გამომიგზავნეთ.

მეც არ ვყრი, გადავცემ სხვა ქართველს, ის კიდევ – სხვა ქართველს და აი ასე იმას ვშვრებით“ (ხურცილავა, 2009).

გაზეთის ერთ-ერთი აქტიური ავტორი ასე იხსენებს პუბლიცისტიკასთან თავის პირველ შეხებას:

„პირველი წერილი ჩემი შვილების ჩამოყვანის გამოვაქვეყნე. გამესაუბრა ქალბატონი ანა ყურშავიშვილი და ამ საუბრის შემდეგ ძალიან მთხოვა, რომ:

– დამიწერე ერთი წერილიო.

მართალი გითხრათ, ძალიან ვიუხერხულე. ჩემი პირველი წერილი იყო ის გაზეთში და... მერე უკვე სამუშაოს მხრივ გამოვაქვეყნე: რა პირობებში ვცხოვრობდით, ჩემი აქ ჩამოსვლა, საბერძნეთში ცხოვრების თხუთმეტი წლის მერე ჩამოსვლა და აი ასეთ, ოჯახურ რაღაცებზე მაქვს წერილები დაწერილი. სხვათა შორის, რომ წაიკითხოთ, ცოტას წაიტირებთ კიდევ“ (ხურცილავა, 2010).

აღნიშნულ გაზეთში განსაკუთრებულად რთული წასაკითხია რედაქტორის გვერდი, სადაც ყველაზე მძიმე ისტორიები იყრის თავს, რომელსაც თავად ავტორიც კი საოცრად ემოცურად აღიქვამს და ქართველების ყოფას საბერძნეთში ომს ადარებს: „აი, ჩვენი გაზეთი რომ წაიკითხოთ, მე მაქვს რუბრიკა „აქაც ომია, მხოლოდ ქართველები ვიხსოვებით.“ ...გაზეთის ყველა მეორე ნომერში წერია, რომ ტრაგიკულად გარდაიცვალა. თითქმის ყველა ნომერში არის ის, რომ ან ვიღაც მოკლეს, ან თავი მოიკლა, ან გადავარდა, ან დაიკარგა... (ყურშავიშვილი, 2010).

ამრიგად, საქართველოდან საბერძნეთში შრომით მიგრაციას თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს. დადებითად ფულადი გზავნილები მიიჩნევა, ხოლო უარყოფითად – ოჯახური და დემოგრაფიული პრობლემების გამწვავება. გაზეთის – „ელადა“ – მეშვეობით საშუალება გვეძლევა გავეცნოთ არა მარტო ქართველი ემიგრანტების ცხოვრებას საბერძნეთში, არამედ ღრმად ჩავიხედოთ თითოეული მოყვარული პუბლიცისტის გულში: „ძალიან ძნელია, უცხოეთში ცხოვრება აიწყოს. შორიდან ჩანს ხოლმე ესე. გგონია, წავალ და ავშენდებიო, მაგრამ რას აშენდები... (ზეპირი ისტორიები..., 2010, გვ. 50). ცხადია, საბერძნეთში მყოფი ქართველი ემიგრანტებისთვის გაზეთი „ელადა“, და არამარტო ის, არის სწორედ ის კულტურულ-ლიტერატურული ხიდი, რომლითაც უწყვეტი კავშირი ჰქონდათ სამშობლოსთან და ცოტათი მაინც იმსუბუქებდნენ ემიგრაციის ყოფის სირთულეს.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ზეპირი ისტორიები... (2010). *ზეპირი ისტორიები: საქართველოსა და საბერძნეთს შორის მიგრაციული თავისებურებები*. თბილისი: „ადამიანის ჰარმონიული განვითარების ხელშემწყობი საზოგადოება“ და „ფონდი ტასო“.
- კიკნაძე, ზ. (რედ.). (2008). *ეთნოსები საქართველოში*. თბილისი: საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრი.
- კიკნაძე, ზ. (რედ.). (2008). *რელიგიები საქართველოში*. თბილისი: საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრი.
- მრავალეთნიკური ... (2004). *მრავალეთნიკური საქართველო გასულ საუკუნეში*. თბილისი: „დიოგენე“.
- ყურშავიშვილი, ა. (2009). ქიქოძე ა. ინტერვიუ ანა ყურშავიშვილთან. საბერძნეთი, ქ. სალონიკი, აუდიო ჩანაწერი.
- ხურცილავა, რ. (2009). ტურაშვილი მ. ინტერვიუ რუსუდან ხურცილავასთან. საქართველო, ქ. რუსთავი, ვიდეოჩანაწერი.

Referenses:

- Khurtsilava, R. (2009). T'urashvili, M. Int'erviu Rusudan Khurtsilavtan. [Turashvili M. Interview with Rusudan Khurtsilava]. Sakartvelo, K. Rustavi, Videochanats'eri.
- K'ik'nadze, Z. (Red.). (2008). Etnosebi Sakartveloshi. [Ethnos in Georgia].Tbilisi: Sakartvelos Sakhalkho Damtsveltan Arsebuli 'olerant'obis Tsent'ri.
- K'ik'nadze, Z. (Red.). (2008). Religiebi Sakartveloshi. [Religions in Georgia]. Tbilisi: Sakartvelos Sakhalkho Damtsveltan Arsebuli 'olerant'obis Tsent'ri.
- Mravaletnik'uri ... (2004). Mravaletnik'uri Sakartvelo Gasul Sauk'uneshi. [Multiethnic Georgia in the Last Century]. Tbilisi: „Diogene“.
- Q'urshavishvili, A. (2009). Kikodze, A. Int'erviu Ana Q'urshavishviltan. [Kikodze A. Interview with Ana Kurshavishvili]. Saberdzneti, K. Salonik'i, Audiochanats'eri.
- Zep'iri Ist'oriebi... (2010). Zep'iri Ist'oriebi: Sakartvelosa da Saberdznets Shoris Migratsiuli Taviseburebebi. [Oral Histories: Migration Peculiarities between Georgia and Greece]. Tbilisi: „Adamianis Ganvitarebis Khelshemts'q'obi Sazogadoeba“ da „Pondi T'aso“.